საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 282-03
10/02/2021

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის შიდა მობილობის წესით ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამებზე გადმოსვლის მსურველ პირთათვის განაცხადის შემოტანის, საბუთების მიღებისა და შიდა საუნივერსიტეტო გამოცდების თარიღების დამტკიცების შესახებ

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ე” ქვეპუნქტის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 5 თებერვლის N 248-03 ბრძანების 1-ლი, მე-2, მე-19, მე-20 და მე-21 პუნქტების გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამებზე შიდა მობილობის წესით გადმოსვლის მსურველ სტუდენტებისთვის განცხადების დაწერის ბოლო ვადა განისაზღვროს 2021 წლის 19 თებერვლის ჩათვლით;
2. რეგისტრაციისთვის სტუდენტებმა განცხადებით უნდა მიმართონ რექტორს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა „არგუსის“ საშუალებით. განცხადებას შიდა მობილობის წესით გადმოსვლის მსურველმა პირმა თან უნდა დაურთოს შემდეგი დოკუმენტები:
   ა) სააპლიკაციო ფორმა ბიზნესის ადმინისტრირების და განათლების სადოქტორო პროგრამებისთვის (დანართი 1);
   ბ) შესაბამისი სადოქტორო პროგრამის მიღების წინაპირობაში განსაზღვრული შესაბამისი მიმართულების/დარგის/სპეციალობის აკრედიტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული მაგისტრის ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი ან არანაკლებ ხუთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მიღებული დიპლომი (რომელიც გათანაბრებული უნდა იყოს მაგისტრის ხარისხთან) ან ცნობა ხარისხის მინიჭების შესახებ, თუ დიპლომი ჯერ გაცემული არ არის, რომელშიც მითითებული უნდა იყოს კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება და თარიღი. (უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი დიპლომის აღიარება/მაგისტრის ხარისხთან გათანაბრების ცნობა დადასტურებული უნდა იყოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ). ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის არჩევის შემთხვევაში, თუ კანდიდატი ფლობს სხვა მიმართულებით მაგისტრის ან მასთან გათანაბრებულ ხარისხს უნდა

წარმოადგინოს შვიდწლიანი მენეჯერული გამოცდილების ან GMAT (ქულა - მინიმუმ 550) დამადასტურებელი ცნობა.

გ) ავტობიოგრაფია (CV);

დ) აპლიკანტისა და პოტენციური ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი სადოქტორო კვლევითი განაცხადი სადოქტორო პროგრამის მიხედვით(დანართი 2).

ე) ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველმა აპლიკანტმა იმ შემთხვევაში, თუ არ გადის ინგლისური ენის გამოცდაზე, უნდა წარმოადგინოს ინგლისური ენის ცოდნის არანაკლებ C 1 დონის ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი: Cambridge ESOL Exams: Cambridge English Scale – 180; IELTS – 6.5;CAE–GradeC; FCE – Grade A; BEC Vantage – Grade A; ILEC –Pass with C1; BULATS - 74; TOEIC – 865; Aptis Test TOEFL: 95; Pearson tests: PTE General level - 4; PTE Academic ან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული სერტიფიკატი - Certus , რომელიც ადასტურებს კანდიდატის ინგლისური ენის ცოდნის კომპეტენციას პროგრამით გათვალისწინებულ მინიმუმ C 1 დონეზე ან ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელ დიპლომი, ასეთის არსებობის შემთხვევაში ამ პუნქტის ,,ზ'' ქვეპუნქტში მითითებული მოთხოვნების დაცვით;

ვ) განათლების სადოქტორო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველმა აპლიკანტმა იმ შემთხვევაში, თუ არ გადის ინგლისური ენის გამოცდაზე, უნდა წარმოადგინოს ინგლისური ენის ცოდნის არანაკლებ B2 დონის ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატიდან ერთ-ერთს Cambridge ESOL Exams: IELTS – Bands at least 5.5; FCE – at least Grade C; BEC Vantage – at least Grade C; ILEC – Pass with B2; BULATS - 65-69; TOEIC – 715-795; Aptis Test TOEFL: at least 46-49 ან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული შესაბამისი ვალიდური სერტიფიკატი-Certus, რომელიც ადასტურებს კანდიდატის ინგლისური ენის კომპეტენციას პროგრამით გათვალისწინებულ მინიმუმ B2 დონეზე ან ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი ასეთის არსებობის შემთხვევაში ამ პუნქტის ,,ზ'' ქვეპუნქტში მითითებული მოთხოვნების დაცვით;

ზ) აპლიკანტმა, რომელსაც ინგლისურ ენაზე აქვს გავლილი ბაკალავრიატის და/ან მაგისტრატურის სრული პროგრამა, უნდა წარმოადგინოს ინგლისურენოვანი საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი. საქართველოს ფარგლებს გარეთ ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელ დიპლომთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი - უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ გაცემული დიპლომით არ დასტურდება, რომ აპლიკანტის მიერ გავლილი პროგრამა იყო ინგლისურენოვანი, აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს დიპლომის დანართი ან ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ინგლისურენოვანი პროგრამის გავლის თაობაზე;

თ) ინგლისური ენის გამოცდისგან თავისუფლდნენ ის პირები, რომლებიც რეგისტრაციის დროს წარმოადგენენ სადოქტორო პროგრამის მიხედვით ამ ბრძანების მეორე პუნქტის ,,ვ“ ან ,,ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტს;

3. დოქტორანტურის საფეხურზე სწავლის გაგრძელების სურვილის მქონე პირებს, რომლებმაც წარმატებით გაიარეს რეგისტრაცია, გარდა იმ პირებისა, რომლებიც აკმაყოფილებენ და წარმოადგინეს ამ ბრძანების მეორე პუნქტის ,,ვ“ ან ,,ე“

ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტი და წარმატებით გაიარეს რეგისტრაცია, ინგლისური ენის B2 და C 1 დონეზე ცოდნის დასადასტურებლად გამოცდა დისტანციურად ინგლისურ ენაში ჩაუტარდეთ 2021 წლის 23 თებერვალს. გამოცდის დროის შესახებ ინფორმაცია ეცნობებათ ინდივიდუალურად სარეგისტრაციო ფორმაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე.

4. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამაზე ინგლისური ენის C 1 დონის გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 51 ქულა, განათლების სადოქტორო პროგრამაზე ინგლისური ენის B2 გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 60 ქულა. კანდიდატები, რომლებიც ვერ გადალახავენ აღნიშნულ ბარიერს, კარგავენ შიდა მობილობის უფლებას;
5. ინგლისური ენის გამოცდის შედეგები ეცნობებათ ინდივიდუალურად 2021 წლის 24 თებერვალს სარეგისტრაციო ფორმაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე.
6. ინგლისური ენის გამოცდასთან დაკავშირებით საპრეტენზიო განაცხადებით მომართვა მოხდეს 2021 წლის 25 თებერვალს 18:00 საათამდე, უნივერსიტეტის ელექტრონულ მისამართზე info@iliauni.edu.ge განცხადება უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
7. თუ აპლიკანტი ვერ გადალახავს ინგლისური ენის გამოცდის ბარიერს, იგი ეთიშება მისაღები კონკურსის შემდეგ ეტაპებს. ინგლისური ენის გამოცდაში მიღებული ქულა არ განსაზღვრავს დოქტორანტობის კანდიდატის ერთიან საბოლოო სარეიტინგო ქულას. პროგრამაზე მიღებისათვის კანდიდატის ერთიანი სარეიტინგო ქულა განისაზღვრება კვლევითი განაცხადის და ზეპირი გამოცდის კომპონენტებში მიღებული სარეიტინგო ქულების ჯამით;
8. ინგლისური ენის გამოცდის შედეგები, აპელაციის შედეგების გათვალისწინებით, ეცნობებათ შიდა მობილობის წესით გადმოსვლის მსურველ პირებს ინდივიდუალურად, 2021 წლის 26 თებერვალს სარეგისტრაციო ფორმაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე;
9. ინგლისური ენის გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, განხილულ იქნას კვლევითი განაცხადი. კვლევითი განაცხადის შედეგები შიდა მობილობის წესით გადმოსვლის მსურველ პირებს ეცნობებათ ინდივიდუალურად 2021 წლის 27 თებერვალს სარეგისტრაციო ფორმაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე.
10. კვლევითი განაცხადის შედეგებთან დაკავშირებით სააპელაციო განაცხადების მიღება იწარმოებს 2021 წლის 1 მარტს (10:00-დან 18:00 საათამდე) უნივერსიტეტის კანცელარიის ელექტრონულ ფოსტაზე: info@iliauni.edu.ge.
11. კვლევითი განაცხადის შეფასება აპელაციის შედეგების გათვალისწინებით ეცნობებათ შიდა მობილობის წესით გადმოსვლის მსურველ პირებს ინდივიდუალურად, 2021 წლის 2 მარტს სარეგისტრაციო ფორმაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე.
12. იმ კანდიდატთათვის, რომლებმაც წარმატებით გაიარეს ინგლისური ენის გამოცდა და კვლევით განაცხადში შეფასებით გადალახეს მინიმალური ზღვარი, ზეპირი გამოცდა დარგობრივი კომისიის წინაშე ჩატარდეს 2020 წლის 3 მარტს, ინფორმაცია ზეპირი გამოცდის ფორმისა და დროის შესახებ ეცნობებათ ინდივიდუალურად 2021 წლის 2 მარტს სარეგისტრაციო ფორმაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე.
13. ზეპირი გამოცდის მინიმალური ზღვარია 3 ქულა, მაქსიმალური კი 5 ქულა. სამზე ნაკლები ქულით შეფასების შემთხვევაში, კანდიდატი კარგავს შიდა მობილობის უფლებას;

14. ზეპირი გამოცდის შედეგები შიდა მობილობის წესით გადმოსვლის მსურველ პირებს ეცნობებათ ინდივიდუალურად 2021 წლის 3 მარტს სარეგისტრაციო ფორმაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე.
15. ზეპირი გამოცდის შედეგებთან დაკავშირებით სააპელაციო განაცხადების მიღება იწარმოებს 2021 წლის 4 მარტს (10:00-დან 18:00 საათამდე) უნივერსიტეტის კანცელარიის ელექტრონულ ფოსტაზე: info@iliauni.edu.ge.
16. განმეორებითი ზეპირი გამოცდა სააპელაციო განაცხადის საფუძველზე, ჩატარდეს შესაბამისი მიმართულების სააპელაციო კომისიის წინაშე 2021 წლის 5 მარტს გამოცდაზე დასასწრები ბმული 2021 წლის 4 მარტს დაეგზავნებათ შიდა მობილობის წესით გადმოსვლის მსურველ პირებს ინდივიდუალურად, სარეგისტრაციო ფორმაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე.
17. კვლევითი განაცხადისა და ზეპირი გამოცდის საბოლოო შეფასებების(აპელაციის შედეგების გათვალისწინებით) სარეიტინგო ქულების ჯამის მიხედვით, იმ პირებს ვინც მოიპოვებენ შიდა მობილობით გადასვლის უფლებას სარეგისტრაციო ფორმაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე დაეგზავნებათ შეტყობინება 2021 წლის 5 მარტს.
18. პირებს ვინც მოიპოვებენ შიდა მობილობით გადასვლის უფლებას შესაბამისი დასკვნების გაცნობის და მათი მხრიდან დასკვნებზე ხელმოწერის ბოლო ვადად განესაზღვროთ 2021 წლის 6 მარტი, დასკვნა გადაიგზავნება სარეგისტრაციო ფორმაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე.
19. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
20. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს, რექტორის აპარატს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და იურიდიულ სამსახურს.

დიმიტრი ჯაფარიძე



დეკანი